





სკამკაცუნა

სკამი უფერს ყველაზე,
ყველაფერზე მითად!
სამუშაო დღის უმედეგ
სკამს სმიფში კეტავს!...



სოფიო ტონოკიანი — თბილისის მარმალადის ფაბრიკის მუშა; თავის „დამსახურებას“ არ მალავს, რომ ბლომად მიირთმევს მარმალადს!..

ესუქდებო, ჩიოდა სოფიო, და ამით ვარ ავადმყოფიო. და, მართლაც, დილით რომ „ტონკი“ იყო ტონოკიანი, სალამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, კანში კი არა და — კარშიც ვეღარ ვეროდა. ერთხელაც გასინჯეს და... გასქელებულ ჯიბეებზე და უბეზე მიატანეს ხელი. „მარმალადი, მარმალადი, აი, გასქეების მიზეზს რად ვმალავდიო!“ — იყვირა სოფიომ.

ამირან მკედლიშვილი — თბილისის მექანიკური ქარხნის ელექტრომონტიორი, სახელი გაითქვა იმით, რომ საწარმოს დილინით ჩამოუვლიდა ხოლმე: „მიყვარს ყოველი სააქრო, ეგების, რამე გავაქროო“. ერთხელაც ხელსაყრები გააყოლა ხელს, მაგრამ გასასვლელში ხაფანგში მოაყოლეს.

გეურქ შიშანავი — თბილისის შუშის ქარხნის მონტიორი. აბა, ამით ღმერთს როგორ შევცოდავო, თუკი ავწანე სამი კოლო სოდაო, ამბობდა გაკვირვებული, როცა გასასვლელში აღარ გაატარეს და ტარიანად ჩამოართვეს ნაღველი.

მარგო ხუნდიაშვილი — თბილისის ფარმაცევტული ქარხნის თანამშრომელი. ვერ გამოვიდა, მამცივებს თუ მაცივებსო, დაიჩივლა სამუშაოს დამთავრების შემდეგ მარგომ და, ყოველი შემთხვევისათვის, იქნებ მარგოსო, 36 შეეკრა ქინაქინის ამბულეტი ჩააწყო ხელჩანთაში. მაგრამ გასასვლელში შეაჩერეს და კარგა მაგრად შეახურეს ციებაშეყრილი პაციენტი.

არაქსი ხუჯუშიანი — თბილისის №1 თამბაქოს ფაბრიკის უფილტრო სიგარეტების სააქროს მემანქანე. უფილტროებს სხვებისთვის ამზადებდა, თორემ თვითონ ფილტრის სიგარეტებით იყო გატაცებული. ჰოდა, ჯერ სიგარეტებმა გაიტაცეს არაქსი, მერე კი თვითონ არაქსმა გაიტაცა სიგარეტები — 150 კოლოფი სიგარეტი „მზიური“ აღმოუჩინეს.

ნიკოლოზ ცქიფურიშვილი — საქართველოს სახმშენის „საქსოფლმშენის სახლბროექტის“ მძღოლი. რას სჩადი, ნიკოლოზ, მაგ ლომონათმა არ გადაგიყვალს! რომ ავიცანცილია მაგ ყუთი, რომ უნდოდა მაგას მაყუთით?! — შეუძახეს შინაურებმა, როცა მას ლომონათის ქარხნიდან 57 ბოთლი ვაჭკონდა, მაგრამ ნიკოლოზმა მათ ყურიც არ ათხოვა! სამაგიეროდ, მას სხვაგან აუწიეს იგივე ყური.

ვლადიმერ ხუზინი — თბილისის №1 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი. გარაჟში მორიგეობისას არ ასვენებდა ხუზინს ერთი აბეზარი ბუზი. ქურდბაცატური ჟინის აღმძვრელად უბზუოდა ცხვირწინ და ძილს არ აძლევდა. ვლადიმერიც წამოხტებოდა და თავისი კოლეგების ავტობუსებს წამოუვლიდა ხოლმე... ამჯერადაც ასე მოხდა — ხუზინმა თავის მეგობრის ავტობუსს წინა სახელი მინა „ააფცქენა“.

ნელი ნადირაძე — ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ მკერავი. ისე მოეწონა თავისი ნახელავი სვიტერი, რომ ხელად შეიქმნა, ჩაცვა იგი და გასასვლელს მიაშურა. ძლივს მოიყვანეს გონს.

რაჩიკ კაზაროვი — თბილისის №4 მექანიკური ქარხნის მუშა. სპეციალისტის მიხედვით შინაც ვმუშაობო და — ერთი ხელი ახალი სპეცტანსაცმლის წაღება და აღარ მოტანა განიზრახა, მაგრამ ამით მხოლოდ ავტორიტეტი შეილახა... თუ მეტი არა.

ანატოლი დოროფევი — თბილისის №1 მექანიკური ქარხნის მუშა. მცირეზე გახდა პირში — აწაპნა ორი ნიჩაბი.

გალინა პიშენკო — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორანტი. №54 გასტრონომიული მაღაზიიდან გაიტაცა ერთი შეფუთული ქათამი. ლაბორატორიაში მიმქონდა შესამოწმებლადო, იმართლა თავი სასამართლოზე. ან კი, იყო იგი ქათამი, არც ფენი აჩნდა და არც თავიო, დასძინა.


ლევონი ზვოიკო — 21 წლის, უსაქმური. უკვარს ვიტრინსთან გატყრენა-თვლიერება: აი, ერთხელაც „თბილტანსაცმლის“ №30 მაღაზიის ვიტრინაში ჯინსის ჟილეტი შენიშნა, შევიდა მაღაზიაში, ტანზე მოირგო და ფულის გადახდა კი არა, მაღლობაც არ გახსენებია, ვინმესთვის რომ ეთქვა, ისე გამოვიდა ქუჩაში. მაღაზიის გამყიდველი თამარ მურადაშვილი გულისხმიერად აღმოჩნდა, წამოეწია და, მშვიდობაში ახალი ჟილეტი, უთხრა. — თუ ეს ახალი იყოს — ხბო ვიყო, დაიფიცა ზვოიკომ.

არგელი რთველიაშვილი — თბილისის №2 თამბაქოს ფაბრიკის მექანიკოსი. მასაც აქვს ერთი აქილევსის ქუსლი — უყვარს სიგარეტი „ლუქსი“. ამას წინათ 100 კოლოფი „ლუქსი“ მოიპარა, რასაც არგელისაგან არავინ ელოდა.

გაიოზ გელგოვანი — თბილისის №1 თამბაქოს ფაბრიკის მუშა. მუქთა ლუქმა აქვს გამტკბარი — დაიტაცა 100 კოლოფი მზა „მტკვარი“.

გიორგი ალელიშვილი — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშა — ჩვეულებრივ ტანხელი, როგორც თარბი, გასასვლელში მობაჯბაჯებდა როგორც დათვი — ტანზე ეხვია 11 ცალი შალის ნართი.

ნახ. მ. აბაშიძის



— დიდი გოდში და, ამხალა ჩანთა რომ დაგიჭარიათ, შემონახაზო სოფ არ მოდინხართ ჩვენთან?!

ასი მაკონტროლებელი?!

სიგნალების შემოწმება
სილიბისტროს დაავალეს,
სილიბისტრომ — ვალერიანს,
მან კი — გიგას, გიგამ — პავლეს,
პავლემ — პეტრეს, პეტრემ — კოსტას,
კოსტამ — სერგოს, სერგომ — ნიკას,
ნიკა უცებ გაიბღინდა,
თქვა: „გაფაცლი იმათ სიქას!“
მერე იხმო მისი ხალხი:
ვანო, ვასო, შაქრო, მიტო!..
დარღვევების აღმოჩენას
ხუთი კაცი ვეყოფითო!..
სულ პირველმა დამნაშავემ
ვანოს უთხრა ერთობ თბილად:
„ბიჭო, გახსოვს, სტუდენტალაქში
რომ მიგიღე მე ძმობილად?!“
მეორემ კი ვასოს უთხრა:
„შემმოწმებლად აქ ხარ რაკი,
ერთი ჭიქით არ დაგლოცო
ძველისძველი ამხანაგი?!“
შაქროც შეხვდა თავის ნაცნობს,
მიტო — თავის მამიდაშვილს,
შაქრო საქმეს ჩარხავს, მერე
რესტორანში მაგიდას უღის!..
ჩაიშალა კონტროლი და
კარგი სუფრა გაიშალა!..
წყალში იღვნენ მასპინძლები,
გამოვიდნენ მაინც მშრალად!..

კონტროლზე რომ ვლაპარაკობ,
ხამდვილ კონტროლს ვამბობ, თორემ
ხშირად ათ კაცს ასი კაცი
თვეში ასჯერ აკონტროლებს!
ზოგიერთი შემოწმებლის
ჩვევაა და დევიზია:
წამდაუწუმ — კონტროლი და
წამდაუწუმ — რევიზია!
კონტროლშიაც ზოგჯერ ქარბად
ინაწილებს როლებს ბევრი!..
ნეტავ, ათ კაცს რად სჭირდება
ასი მაკონტროლებელი?!

ვანო ცინცაძე

შეპითხვა პირველი:

რბ სამეურნეო ეფექტურობით, როცა 1981 წლის თებერვალში ავნივის კოლმეურნეობის დეფექტებიან სალორეში გამოსაზრდელად შერეკეთ ზოგი რვა მანეთად და ზოგი თუმნად ნაყიდი ინდაურის 2342 ფრთა ჭუკი?

შეპითხვა მეორე:

რბ შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ნორიოდან წამოყვანილი ჭუკების ნაწილის გზაშივე დახოცვამ?

შეპითხვა მესამე:

გააცანით თუ არა სპეცლიტერატურას (ან გააცანით თუ არა სხვა პასუხისმგებელ მუშაკებსაც) იმის შესახებ, რომ ჭუკებს გამოსაზრდელად ათავსებენ საწიწილეში და იცავენ თბურ რეჟიმს, მათ საკვებ რაციონში შეაქვთ ცხოველური საკვები — მონდილი რძე, ხაჭო, შრატი და, ჰქონდათ თუ არა ავნიველებს ამის საშუალება?

შეპითხვა მეოთხე:

გკონდათ თუ არა კოლმეურნეობის სამეურნეო გეგმაში ასეთი მასშტაბის გაქანება და თუ ესვა ამ გეგმას ბეჭედი ან შტამპი?

შეპითხვა მეხუთე:

ვისი ფულით იყიდა ავნივის კოლმეურნეობამ ჭუკები?

შეპითხვა მეექვსე:

ერწმუნეთ თუ არა ვეტლაბორატორიის დასკვნას, რომ ცუდ პირობებში მყოფ ჭუკებს შეეყარათ გადამდები სენი — რესპირატორული მიკროპლაზმოზი? და თუ ერწმუნეთ, რად აუკრძალეთ კოლმეურნეობის გამგეობას ჭუკები კოლმეურნეობისათვის მიეყიდათ? ხომ იცოდით, რომ ეს სენი იწვევს ეპიზოტიებს და მისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა ფრინველთა დაცალცალება?

შეპითხვა მეშვიდე:

ხომ არ მიგაჩნიათ, რომ კოლმეურნეობის გამგეობას მეტი ალლო აღმოაჩნდა, როცა (რაკი ხედავდა, რომ მიკროპლაზმოზს სულაც უფასოდ მიჰყავდა ჭუკები), თქვე-

ნი უარის მიუხედავად, ხელი მიჰყო ჭუკების რეალიზაციას?

შეპითხვა მერვე:

რბ თანხით გამოიხატა ოპერაცია „თეთრი ინდაური“ გამოწვეული ზარალი და თქვენი ვარაუდით (მიკროპლაზმოზის გათვალისწინებით) რამდენით გამოიხატებოდა, თავმჯდომარეს თვითნებურად რომ არ გაეყიდა?

შეპითხვა მცხრამე:

თქვენთვის ცნობილია თუ არა, რომ ჭუკებს საკარმიდამო მეურნეობებში კოლმეურნეები მაწონში ახელილი მატიტელათი და ჰინჭრით ზრდიან?

შეპითხვა მეათე:

კოლმეურნეობა 1981 წლის პირველი ექვსი თვის სამეურნეო მაჩვენებლებით (სტატისტიკური სამმართველოს ცნობით) ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო რაიონში, მისი თავმჯდომარე ილია კობერიძე კი ჭუკების საქმეს სწორედ მაშინ შეეწირა (თანაც სასტიკი საყვედურით).

შეპითხვა მეთერთმეტე:

გათონიდა თუ არ გათონიდა სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ არჩეული კოლმეურნეობის თავმჯდომარე დარჩენილ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, იმ შუა ზაფხულში რომ არ მოგეხსნათ?

შეპითხვა მეთორმეტე:

ნიუნავს თუ არა დევნას ის სანქციები, რაც პარტიის რაიკომის ბიუროს შემდეგ თავმჯდომარის მიმართ გატარდა? (ხელფასების გაცემის სისწორის, გოჭების რეალიზაციის, სავარგულების მავთულბადით შემოღობვის ბუღალტრული შემოწმება).

შეპითხვა მცხამეტე:

იმ დროისათვის გქონდათ თუ არა დანერგილი კოპერირება რაიონში? და თუ არა, მაშინ რად ჩაუთვალეთ დანაშაულად ავნივის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კოლმეურნეობისათვის გოჭების მიყიდვა: ეს ხომ მას სამეურნეო გეგმით (თქვენს მიერ დამტკიცებულ

გეგმით) ჰქონდა გათვალისწინებული?

შეპითხვა მეთოთხმეტე:

თუ ავნივის კოლმეურნეობაში მომხდარი დარღვევები საქართველოს კპ ზნაურის რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგნად იქცა და თავმჯდომარე ასე მკაცრად დაისაჯა, ხომ უნდა დასჯილიყვნენ (თუნდაც მსუბუქად) გამგეობის სხვა წევრები?

მაშ, რა ფორმულირება შეიძლება მიესადაგოს ამგვარ წახალისებებს?

ასე, მაგალითად:

ა) ზ. მარანელი — ეკონომისტი და პარტორგანიზაციის მდივანი, ვინც თავმჯდომარეს სცვლიდა მისი ავადმყოფობის დროს და იმავე პოლიტიკას აგრძელებდა გოჭინდაურის რეალიზაციის საქმეში, თავმჯდომარედ დააყენეს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), ისე, რომ კოლმეურნეთა აზრი არც უთხავთ (იხილეთ კრების ოქმი);


ბ) ფერმის გამგე ე. ტკმავე, ვის უშუალო გამგებლობაში იყვნენ გოჭებიც და ინდაურებიც, ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს აგრონომად დააწინაურეს.

თუ 1981 წლის პირველი ექვსი თვის შედეგებისათვის ამდენ ხალხს დაწინაურება ეკუთვნოდა, მათ თავმჯდომარეს რატომ შეეფარდა ასეთი სასტიკი სასჯელი? (სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით და თანამდებობიდან გათავისუფლებად).

და კიდევ ერთი კითხვა: 1981 წლის 17 ივლისის შემდეგ უკვე ცხრა თვე გავიდა! მოხდა თუ არა სასიკეთო ძვრები კოლმეურნეობის ეკონომიკაში, განმტკიცდა თუ არა შრომითი დისციპლინა?

ელგუჯა მერაბიშვილი,
„ნიანგის“ სპეცკორესპონდენტი.

ნახ. მ. აბაშიძის



— კალმისტრების დაბმას არ გარჩივს, თანამშრომლები დაბეჭდები!

მოხუცის ჩივილი


ფერადი ტალავიზორი

ვიყიდე ვამადგომაზე!..

დავდგი და არ ვამადგა! —

ყოფილა ვამადგომაზე!..

ნიქა





სოლუარი

ჭიკჭიკებენ მერცხლები და
ფიფიფიებენ ბელურები...
ეზოსაკენ ვიყურები
და მასპინძლებს ვემდურები:
ყანნები და ჭინჭილები
მაგიდაზე დაუყრიათ,
ქათმების და წინილების
სისხლი ბლომად დაუღვრიათ!..
აღარ დარჩა ყველი წათხში,
გოჭს ყურები შეწვიაო,
რადგან ერთხელ წელიწადში
სიძე სიდედრს ეწვიაო!..
კაკლის ჩრდილში გაშლილ
სუფრას

ჩიტის რძეც კი არ აკლია!..
თუმცა, ჩიტის რძე რომ აკლდეს,
კაცმა რომ თქვას, რა ნაკლია?!
გამვლელი და გამომვლელი
დღეს ამ ეზოს სტუმარია,
ყველას ღიმი დასთამაშებს,
ყველას რაღაც უხარია!..
ჩვენს თამადას, ენადამტკბარს,
სადღეგრძელო არ ელევა!..
მასპინძელსა მხიარულსა
ჭურში ღვინო დაელევა?!
ნამეტანი მოგვივიდა,
ბევრი ვსვით და ბევრი ვჭამეთ,
მთელი სუფრა ავიკელით,
მასპინძლები გავანამეთ!..
მერიქიფე ჭირვეულობს:
„არა, ჩემო პატენიო,
ღვინოს ყელში ჩაგასხამ და
საცივს პირში ჩაგტენიო!“
ნათესავნი და მოყვრები
ერთუროს ისე ეხვევიან,
რომ მთვრალ სიძეს მათი დაშლა
ველარ მოუხერხებია!..
მზე დასავლით ჩაესვენა,
ცაზე მთვარე ამოვიდა,
სოფლის გზაზე ნაღვინევი
ხალხი წავიდ-წამოვიდა!
სიდედრს სიძის დედ-მამისთვის
ხელი მკლავში ჩაუვლია
და ბოდიშით ეუბნება,
რაც რომ გულში გაუვლია:
„რაკი ძვირფას მძახლეულებს
თამარ ქალის გასურდათ
რძლობა, —

ასეთია, გენაცვალეთ,
ცოლეურის მასპინძლობა!

ვიქტორ კახნიაშვილი

ზიგო ზარნაძე

უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერები

გეგმა
ბიზნისი

1982 წ. 22 თებერვალი.

ძალიან კი ვცდილობ, ინკოგნიტოდ ყოფნას, მაგრამ ყოველთვის როდი ვახერხებ. ლაგოდნოში მაინც გაიგეს ჩემი გვარი და, რადგან იქ ჩემი გვარის ხალხიც ცხოვრობს, ნათესაური კავშირების დადგენას შეუდგნენ — ეგება, ბინად რომელიმე მათგანთან გაჩერდესო, მაგრამ შემდეგ ყურადღება არ დაიშურეს და ტურბაზაში შემომთავაზეს დაბინავება, იქ მიღეთის ხალხი ირევა და მხიარულებაც მეტიაო.

ბევრს ეცადნენ, უკეთესი ნომერი შეერჩიათ ჩემთვის და, ბოლოს, 224-ე ნომერში შემასახლეს, კომფორტით სხვას ჯობნისო. მართლაც ვერ დასდებდით წუნს, მხოლოდ ეგ იყო, რომ იატაკის პარკეტი ამოყრილი გახლდათ, ტუალეტის კარი არა და არ იხურებოდა, არც საპირი იყო შიგ, მისაღებში ხათურა არ ეკეთა, ღამით წყალი არ მოწანწკარებდა ონკანში, სახურავიდან სამონაჟონი წყლით კი კედლები ისე იყო დანესტიანებული, ღამის სოკოები ამოზრდილიყვნენ და კიდეც ერთი უმნიშვნელო დეტალი — საღამოს ათი საათიდან დილის ექვს საათამდე, არანორმალური წნევის გამო, განუწყვეტლივ ხრიალებდა რადიატორი და სიზმრად ხან ტანკისტი ვიყავი ვითომ, ხან სატვირთო ვაგონის გამცილებელი და ხანაც — მხერხავი!..

ერთია საინტერესო — ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს მესვეურთაც მსგავსი სიზმრები დაესიზმრებათ, ნეტავ? იქნებ, ჩამოსულიყვნენ და ეცადათ ბედი!..

ახლა კი ვიკადრე უკადრებელნი — ნათესავს მივადექი, ღამე გამათევი-ნე-მეთქი! ნამდვილად არ ხარ შინშემოსაშვები, ან ის ერთი ღამე ტურბაზაში რამ გაგათევიაო და — სუფრას მივუსხედით. ნასადილევს მისმა ტუჩზე რძემეუმშრალმა ღლაპმა რთული ამოცანა მომცა: თუ ქალაქის პირველი საშუალო სკოლის ახალი შენობისათვის გათხრილი და უპატრონოდ მიტოვებული ბაღის უზარმაზარ ორმოში ჩავარდნის გამო მოქალაქე ლეუვას ბავშვმა თავი გაიტეხა, სამშენებლო გეგმის (საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტი, მმართველი ჯ უ რ ა ძ ე) ჩავარდნის გამო, ხომ შეიძლება, ვინმემ ფეხი წაიმტვრიოსო?

ნამდვილად შეიძლება-მეთქი, დავაიმედე პატარა ზურია და სასწრაფოდ გავეშურე ავტოსადგურისაკენ, უფრო რთული შეკითხვებისაგან რომ დამეზღვია თავი.

ნახ. ბ. ლომიძისა

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია, ჯერ კიდევ ხშირია ავადმყოფებისადმი უსულგულო და გულგრილი დამოკიდებულების, საექიმო ეთიკის დარღვევის, გამომძალველობისა და მექრთამეობის შემთხვევები.


გაზეთებიდან



— არ ისუთმო! ჯარ ჯიზის არეს ვაშუაქა!



უსიტყვოდ



უსიტყვოდ

ნახ. ლ. მარტაშვილისა



ნაწილები

კვლევები



ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აბანოს შეკეთება ჰიანურდ-ბა! — სწერდნენ რედაქციის ბათუმელნი.

სახალხო დეპუტატთა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან, სადაც წერილი რეაგირებისათვის გადაიგზავნა, გვიბასუხეს, რომ „ბათუმის ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნის საუწყებო აბანო დაკეთა ქალაქის სანებილსად-გურმა 1980 წლის ნოემბერში... როგორც ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ღირეჭცია გვატყობინებს, აბანო ექსპლოატაციაში გაიშვება 1981 წლის ბოლოსათვის“.

რედაქციამ მიმდინარე წლის 10 თებერვალს კვლავ მიიღო წერილი ბათუმელნი, აბანოს შეკეთება არც დაუწყიათო!..

რედაქციაში გამოგზავნილ წერილში წერდნენ, თბილისის კალინინის რაიონის საზღვრების № 31 მაღაზიაში ვაჭრობის წესებს არღვევენო.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოდან გვაცნობეს, რომ მათ მიერ შემოწმებული იქნა კალინინის რაიკვებვაჭრობის № 31 მაღაზია და გამოვლინებული დარღვევებისათვის მოლარე-კონტროლიორს მ. ხელაშვილს გამოეცხადა სასტიკი საუვედურჩი. მაღაზიის გამგე ნ. გორგაძე გაფრთხილებული იქნა, გააძლიეროს კონტროლი თანამშრომელთა მუშაობაზე.

ობიექტის მუშაობა აუვანილია კონტროლზე.

მუდამ გვახსოვდეს, რომ...

● ზოგიერთი ქელენი ზოგი ჰირსუფფლისთვის ბაზრის დახლია, სადაც ცრმის ჰყიდის, თანაც — ერთბა დვირად!

● ზოგი პირუტყვებში იზრდება ადამიანად, ზოგიც ადამიანებში — პირუტყვად!

● ბაჩარბაული საათი დღე-ღამეში დროს ორჯერ ზუსტად უჩვენებს.

● საბუთბარ თავს თუ სარკეში წიხლს ჰკრავ, სარკეს უეჭველად გატებს და ფეხსაც გაიჭრის!

● მამანმა მლიქვნელობა კი მოიშალა, მაგრამ მოუშორებელ ნაშთად ხერხემალი დარჩა მოხრილ-გამრუდებული.

● მლიქვნელის ფილოსოფიაა: უფროსმა რომ გაგარტყას, უნდა ჰკითხო, ხელი ხომ არ ეტკინა?!

● უშიცვების ქვეყანაში ბრძენს ყველა ჰკუას ასწავლის!

● ვაშლი სამოთხეშიც რომ ასე ძვირი ღირებულიყო, ევა ცდუნებს ნამდვილად გადაურჩებოდა.

აბაპი გეწამე

რედაქციისაგან

ჩვენი ჟურნალის გასული წლის მე-4 ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი — „იღბლიანი მონადირე“.

ფელეტონში მოყვანილი ფაქტები, შემდგომი შემოწმებისას, ძირითადად არ დადასტურდა.

საკუთარი აზრი

ამჟამინამდღე უაზრო ცხოვრებას რომ აზრი არა აქვს, ეს ახალი აზრი სულაც არ არის, მაგრამ გაცილებით რთულია იმ აზრამდე მისვლა, თუ რაწიანი აზრი უფრო მომგებიანია რადგან აზრი შეიძლება სულ სხვადასხვანაირი იყოს, თუნდაც — სხვისი აზრი, რომელსაც ზოგიერთი საკუთარი ტინის უბინო ნაყოფად აცხადებს. ვთქვათ, როცა თეთრ სახლში ამტკიცებდეს, ევროპას საბჭოთა საფრთხე ემუქრებაო, თითქოს, ჰარი ტრუმენიდან მოყოლებული, ამერიკის შეერთებული შტატების ყველა პრეზიდენტს იგივე არ ემტკიცებინოს!

ან მოძველებული აზრი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსაც კი, როცა ცდილობს ქვეყანას დაუმტკიცოს, ჩემზე უფრო მშვიდობისმოყვარე კაცი მსოფლიოში არ მოიპოვებაო. მაგრამ აზრზე არ არის, რომ ამგვარმა მტკიცებამ დიდი ხანია დაკარგა აზრი, რადგან იგი დღენიადაგ ჩაპკირკიტებს ნეიტრონული ბომბის წარმოების არაორსაზრვად პროვოკაციას და ეს შინ და გარეთ ყველამ მშვენივრად იცის.

ვილაც-ვილაცებმა აზრების დალაგებისა და კლასიფიკაციის დროს აღმოაჩინეს, ბუნდოვანი აზრიც არსებობსო. მაგალითად, კაცი რომ ვერ გაიგებს, რა აზრით დაჟურჟუტებენ სამხრეთ აზიის სანაპირო წყლებში ამერიკის სამხედრო ხომალდები და რაანირად აპირებს რეიგანის აღმინისტრაცია მათი საშუალებით „მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვას ამ რეგიონში“. არსებობს აზრი, რომელსაც ყოველთვის უნდა დაეთანხმო, მოგწონს თუ არა, რადგან მას ხშირად მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეები გამოთქვამენ, რომელნიც, თავიანთი მხრივ, ერთი კაცის აზრს უწევენ ანგარიშს, ეს კაცი კი რამდენიმე ხნით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საბარძელში ზის და განუწყვეტელი ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალ აზრს ეძებს.

არსებობს საზოგადოებრივი აზრი, რომლის გადამიერებასაც მთავრობის ოფიციალური წრეები ხშირად თავიანთ მხარეზე ცდილობენ, მაგრამ არ იციან, რომ ამგვარმა მოქმედებამ უკვე დაკარგა აზრი, ხალხს მაინც არ მოსწონს არაბრის ჟღარუნი და ისტერიული კვილი „კომუნისტური საფრთხის“ შესახებ.

დაბოლოს, ყველაზე დიდი საფრთხე, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს ემუქრება — საკუთარი აზრია, ანუ ის აზრი, რომელიც არ ეთანხმება თეთრი სახლის დიდ-მოხელეთა აზრს და რომლის გამოც, შეიძლება, ქუჩაში ტყვია დაგახალონ, ციხეში დაგამწყვდონ, ლინჩის წესით საიქიოს გაგისტუმრონ ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამოგაყოფინონ თავი!..

საკუთარი აზრი კი ჯიუტად ჩაგაგონებთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ანაფინ არ ეშუქრება აგრესიით, ხოლო, შეიძლება, პირიქით კი იყოს: შეერთებულ შტატებს ანაფინ აღმოსავლეთში არ შეიძლება პქონდეს არავითარი სასიცოცხლო ინტერესები, რომელთა შესახებაც ასე უფვართ ლაპარაკი თერთ სახლში! შეერთებული შტატების საქმე არ არის, რომელი ქვეყანა ვის ირჩევს ხელისუფლების სათავეში და არც მსოფლიოს ამერიკული მოდელის მიხედვით დღაღება დაუფალბია ვინმეს თერთი სახლის მსვეურთათვის! ღვთის ნებთ შობილი ყველა ადამიანი თანაბარი უფლებით უნდა სარგებლობდეს, მიუხედავად იმისა, მისი კანის ფერი, შეიძლება, მუქი ან წითელიც კი იყოს! არ არის საჭირო პენტაგონის უძირო ტომარაში ყოველწლიურად ახალი მილიარდები ჩაიყაროს, როცა ქვეყანაში დღენიადგ იზრდება ლატატა და უმუშევართა რიცხვი! პრეზიდენტი უფრო მეტ ანგარიშს უწყეს რამდენიმე მილიონერის აზრს, ვიდრე — მთელი ხალხისა! კარგი იქნებოდა, მომავალ არჩევნებში თერთ სახლს ვინმე უფრო რეალისტურად მოაზროვნე კაცი დაპატრონებოდა!

საკუთარი აზრი ჭეშმარიტად დიდი სამიმ-
როების წინაშე აყენებს ადამიანებს და მისი
თავიდან მოშორება ადვილი როდია. მან, შე-
იძლება, იმ აზრამდეც მიგიყვანოთ, რომ იმ
ქვეყანაში, რომელსაც, გულუბრყვილო უცხო-
ელების აზრით, სამოთხემდე ბევრი აღარაფე-
რი უკლია — ცხოვრება მოსაწყენი და უაზროა
და იქიდან თავის დასაღწევად ყველაზე საუკე-
თესო აზრი — თვითმკვლელობაა!

ერიდეთ საკუთარ აზრს!

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

საგუდაშვილი
კრწანული:

მამუა ამირაგვინი,
ნომადი ბარტანია,
გორის გურგულია,
ნოდარ ღუშბაძე,
რევაზ მუხრანძე,
ჯემალ ლომიძე,
ნოდარ მაღალაშვილი
(მხატვარი-რეჟისორი),

ალექსანდრე სამსონია,
გეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი).

გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუღ ჩარბიანი,
თამაზ წიგწიშაძე,
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),

ԵՆՅՈ ՋՄԱՆՈՒՄՈՒ.

ტექნიკური რედაქტორი
მისხეილ კუხალაშვილი

ბაღაეცა ასაწყობად
5 3 82 წ

ხელმოწერილია დასაბეჭდად
7. 4. 82 წ.

ქალაქის ზომა 70x100
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1.

საღარიბსო-საგამოცემლო
თაბახი 1,7

საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 613 უფ 06197
ტირაჟი 148.950.

ქურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩ. ჰ. ვ. ნ. მისამართი:
 380008, თბილისი-8, რუსთაველის
 პროსპექტი, № 42.
 ტელ. ფონები: მთავარი
 რედაქტორის — 99-55-54, მთ.
 ჩელ. მაღაგლის — 93-19-42,
 პ/მე მდივნის — 93-10-78, მხა-
 ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
 განყოფილებათა გამგეების —
 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაყე-
 ბის — 99-02-38, მივიანი-მედიან-
 ჰანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ი. ღმრსი 76137

